

**„წარსწყმედს უფალი ყოველთა, რომელნი იტყვიან სიცრუევსა“
(წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახელის შეურაცხყოფის გამო)**

უბედურია ქრისტიანი, რომელმაც არ იცის ქრისტიანობის არსი, უბედურია ერი, რომელიც შეურაცხყოფს თავის წმინდანებს. მართლმადიდებლურ სწავლებას დაშორებულმა ისტორიკოსებმა საშინელი ცილისწამებით დადაღეს წმიდა მეფის, დავით აღმაშენებლის სახელი: უმწიკვლო ქრისტიანობით გამორჩეულს ჯერ დააბრალეს მუსულმანობის (და, საერთოდ, უცხო რჯულის) სიყვარული და შემწყნარებლობა, შემდეგ კი დაბრალებული თვისება – რელიგიური ტოლერანტობა, ანუ რჯულთგანურჩევლობა – მოუწონეს და შეუქქეს. ავისგანმზრახველებმა სკოლის სახელმძღვანელოებშიც შეიტანეს ეს სიცრუე და წამლავენ მოზარდი თაობის სულსა და გონებას. ქართულმა საზოგადოებამ კი წმინდანის ამ შეურაცხყოფასა და ცილისწამებას ყური მიაჩვია, რასაც დავითის ისტორიკოსის შემდეგი სიტყვები მიესადაგება: **„ეპა უსამართლობასა, ეპა უგუნურებასა“** (ქართლის ცხოვრება, ტ. I). ეს რა უგუნურება გვკვირს ქართველებს? უპირველეს ყოვლისა, უნდა გავვრკვეთ, თუ რას და რომელ ისტორიულ წყაროებს ეფუძნება ზემოხსენებული ისტორიული სიცრუე. ამ სიცრუის გავრცელება იქიდან დაიწყო, რაც XIII საუკუნის არაბმა ისტორიკოსმა, საიბ იბნ ალ-ჯაუზმა (1186–1257 წწ.) თავის წრიპინა კალამს გამოაბა დიდი ტყუილი: „პარასკევობით დავითი, ზოგჯერ თვით და შვილებითურთ, მაჰმადიანთა მთავარ სამლოცველოში, ჯამეში (მეჩეთში) შედიოდა, ლოცვას ისმენდა და მათ სამღვდელეობას ბევრ ოქროს უწყალობებდა – ხოლმე“. ე.ი. თუ იბნ ალ-ჯაუზს დავუჯერებთ, წმ. მეფეს პარასკევი დღე მეჩეთში სასიარულოდ ჰქონია გამოყოფილი. აღსანიშნავია, რომ არც დავითის ისტორიკოსი, არც ვახუშტი ბატონიშვილი და არც რომელიმე ძველი ქართული წყარო ხსენებულის შესახებ არაფერს გვაუწყებს. ან როგორ გვეტყვის იმას, რაც არ მომხდარა.

აღსანიშნავია, რომ ალ-ჯაუზის ცრუ ცნობამდე ერთი საუკუნით ადრე, 1153 წელს, თბილისის აღებიდან 30-

ოდე წლის შემდეგ, თბილისის სხვა მაჰმადიანი ისტორიკოსი – ალ-ფარიკი სწვევია. დავით აღმაშენებლის, მის მიერ თბილისის აღებისა და საქართველოში მუსულმანთა მღვდმარეობის შესახებ ცნობები მას თავის „ისტორიაში“ იმ მუსულმანი მოსახლეობის გადმოცემათა საფუძველზე შეუტანია, რომელნიც თბილისის აღებისას დავითის რისხვას გადაურჩნენ. ქართველი ისტორიკოსები წერენ: **„დავით აღმაშენებელმა თბილისის შემოერთების შემდეგ ჯერ წელში გაწყვიტა მაჰმადიანური მოსახლეობა, სამი დღე დასარბევად მიუგდო ლაშქარს და შემდეგ მისცა ზოგიერთი შეღავათი“** (მლორთქიფანიძე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ. 1979, გვ. 254). თბილისელ მუსულმანებს უცნობებიათ ალ-ფარიკისთვის იმ ზაფრის, შიშისა და სისხლისღვრის შესახებ, რაც მაჰმადიანებს გადახდათ თავს ჯერ ქალაქის ალყისას და მერე ქალაქის აღებისას; უთქვამთ იმის შესახებაც, რომ მეფეს გულისწყრომა რომ დაუცხრა, მერე ბევრი წყალობა უყო ქალაქის მცხოვრებთ. ამ წყალობაში შედიოდა ისიც, რომ მუსულმანებით დასახლებულ ნაწილში ღორის დაკვლა აკრძალა, მისცა უფლება აზიანისა (ლოცვაზე მოწოდებისა), აბანოში მარტოდ ბანაობისა. ზაზგასმით აღვნიშნავთ: დავით აღმაშენებელს კიდევ იმის უფლება მიუცია თბილისელი მუსულმანებისთვის, რომ **„პარასკევ დღეს მინბარიდან ილოცავდნენ ხალიფასა და სულტანისათვის და არა მისთვის (დავით აღმაშენებლისათვის)“** (რ. მეტრეველი „დავით IV აღმაშენებელი“, თბილისი 1986წ. გვ. 216) ე.ი. დავითს მუსულმანებისთვის „მიუკერძია“ ხალიფაც, სულთანიც და მეჩეთიც, – მე თავი დამანებეთო, ჩემთვის კი მეჩეთში არ ილოცოთო! მეფეს რომ მეჩეთში სიარული ჩვევად ჰქონოდა, მისთვის ლოცვას რად დაუშლიდა მუსულმანებს?!. სინამდვილეში წმინდა გვირგვინოსან მეფეს მართლმადიდებლურ ტაძარში სიარულისა და ლოცვის ჩვეულება ჰქონდა და ამიტომაც დაუტოვა ანდერძად თავის საყვარელ და სათაყვანო ეკლესიას: **„წმიდათა დიდთა მარხვითა ყოველთა პარასკევთა ეკლესიას ტფილსა სეფისკურსა განუყოფდნენ სახსენებელად ჩემდა... და მილოცონ ესრეთ: უფალო ღმერთო, დავითს მიუტყვენ ბრალნი მისნი სიყრმისა და ცლოძილებისანი“** („ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი“, ქართული მწერლობა, ტ. II, გვ. 209)

როგორც ვხედავთ, ისტორიკოს ალ-ფარიკს თბილისელ მუსულმანთაგან მონათხრობიდან აბანო არ გამორჩენია და ღორი, მინბარი და სულთანნი და ის როგორ გამორჩებოდა,

ვინმეს რომ მოეთხრო, ქართველების უძლეველი მეფე ჩვენს მეჩეთში დადიოდა და ლოცულობდაო. და ეს რომ მართლაც ასე ყოფილიყო, მუსულმანები პირველ ამაღ არ მოუყვებოდნენ ქალაქში ამბების მოსაკრებად ჩამოსულ კაცს?! იქნებ თავად ეს კაცი მოერიდებოდა ქრისტიან ქართველობას და მიჩქმალავდა მაჰმადიანთათვის ამ მეტად გულისმოსაფონ და გამახალისებელ ცნობას. ალ-ფარიკი ისტორიას ქართველებისთვის კი არ წერდა! მაგრამ არავის უთქვამს მაშინ ასეთი რამ და რას დაწერდა?!

საკვირველია ის ფაქტი, რომ ის, რაც შუაგულ თბილისში 1153 წელს, ქალაქის აღებიდან სულ რაღაც ოცდაათი წლის შემდეგ, არავინ უთხრა ალ-ფარიკს თვითმხილველებით სავსე ქალაქში, მაინც და მაინც იბნ ალ-ჯაუზის ყურს „მისწვდა“ ერთი საუკუნის შემდეგ. ან როგორ დაინახა XIII საუკუნის II ნახევრის გადასახედიდან პარასკევ დღეს მეჩეთისკენ მიმავალი დავით მეფე უფლისწულ დემეტრეთურთ? სამწუხარო ის არის, რომ თვითონ ხომ „დაინახა“, მაგრამ ზოგიერთ უღმრთო ისტორიკოსსაც ისე დაამახსოვრა ეს აღმოსავლურად დატკბილული სიცრუე, რომ დღემდე მთელ ქართველ ერს ცხვირწინ უფრიალებენ: დავით აღმაშენებელი მეჩეთში დადიოდა, ხედავთ, როგორი რჯულთშემწყნარებელიაო?! დავითის მემკვიდრე არაფრადაა ჩაგდებული, რომელიც გარკვევით წერს, რომ ის გვამცნობს მხოლოდ იმ ამბებს, რომლებშიც **„არა-რა იყოს ტყუილი, ვინაითგან წარსწყმედს უფალი ყოველთა რომელნი იტყვიან სიცრუევსა“**, იბნ ალ-ჯაუზის გაბრტყელებული სახელი კი ნაპატივებია საქართველოში.

ყველაზე სავალალო ის არის, რომ ჩვენ ვერწმუნეთ თურქ-სელჯუკთა შემმუსვრელი წმ. მეფის მოძულე არაბი ისტორიკოსის ცნობას, და არ დავუგდეთ ყური თავად წმ. მეფეს, რომელმაც, თითქოს გრძნობდაო, რომ მას ცილს სწორედ რჯულთშემწყნარებლობაში დასწამებდნენ, შთამომავლობას დაგვიტოვა საჯარო აღსარება – „გალობანი სინანულისანი“ – რომელშიც ქრისტიანული სიმდაბლით აღიარა და შეინანა ყველა პირადი ცოდვა, რჯულთშემწყნარებლობის ცოდვით დაცემა კი უარყო: **„გარნა არავე აღვიხვენ ხელნი, არცა დავდევ სასოება ჩემი ღმრთისა მიმართ უცხო სა, არცა უცხოთესლი რა მე სარწმუნოება საწერთელ ყვავ სულისა, გარეშე მისსა რომელი მასწავეს ღვთისმეტყველთა შენთა“** (დავით

აღმაშენებელი, „გალობანი სინანულიანი“). ქრისტიანი მეფის მეჩეთში „ლოცვაზე“ დგომა და შემდეგ ქადაგების მოსმენა სხვა არაფერია, თუ არა უცხო სარწმუნოების „თესლით“ სულის წვრთნა, ის კი გვეუბნება: არ მიქნია ეს, არ ჩამიდენია, მხოლოდ იმით ვიწვრთნიდი სულს, რაც შენმა ღმრთისმეტყველებმა მასწავლესო. მაგრამ არ აღმოჩნდა ეს საკმარისი უმაღლური შთამომავლობისათვის, არ ვენდეთ წმ. მეფის სიტყვებს, სამაგიეროდ დაგუჯერეთ ქართველთაძოღულე ისტორიკოსს, რომელმაც ისტორიის გაყალბებით დიდგორზე ქართველთა მიერ მუსულმანთა უზარმაზარი კოალიციური არმიის დამარცხების გამო მზაკვრული რევანში აიღო: თაყვანი აცემინა წმიდა მეფეს ალაპისათვის და მის მსხურთათვის, რითაც შეეცადა დამარცხებულ მუსულმანთა პრესტიჟის მაღლა აწევას. აღ-ჯაუზის სიცრუე აქ არ მთავრდება, იგი აღნიშნავს, რომ, თურმე, თურქ-სელჯუკნი იმიტომ დამარცხებულან, რომ მათი არმია მცირე იყო, ხოლო ქართველთა – უმრავლესი. სინამდვილეში ხომ მუსულმანთა კოალიციური ჯარი თითქმის 10-ჯერ აღემატებოდა ქართველთა მხედრობას. აი, ასეთი ცრუ და მეყალბე ისტორიკოსის ცნობა იქნა ცალმხრივად გაზიარებული და წამდაუწუმ ცხვირში გვჩრიან ისინი, ვინც, ნებსით თუ უნებლიეთ, ანტიქრისტეს რელიგიის – ეკუმენიზმის საქართველოში დასამკვიდრებლად გარჯილან.

წმინდა მეფის სიმკაცრე სარწმუნოებრივ საკითხებში შეზავებული იყო მის უსაზღვრო კაცთმოყვარეობასთან. იგი პატივს სცემდა კაცთა და არა რჯულთა, იყო კაცთშემწყნარებელი და არა რჯულთშემწყნარებელი (ტოლერანტი), რადგან კაცთმოყვარეობა ღვთის მცნებაა, რჯულთშემწყნარებლობა კი – ღვთის გმობა. როგორც კაცთა – იწყნარებდა მუსულმანებს, როგორც ურჯულოთა – ეშმაკებსა და ეშმაკის მსასურებს უწოდებდა მათ. ეს კაცთშემწყნარებელი მეფე უმკაცრესი ხდებოდა, როდესაც ურჯულონი წალეკვით ემუქრებოდნენ ქრისტიანობასა და მის ღვთისმშობლის წილხვერდ საქართველოს. მაშინ იგი „მესიის მახვილად“ იქცეოდა და ურჯულოთა სისხლით რწყავდა მიწას. ურჯულოებას იწყნარებდა კი არა, ურჯულონი ჭეშმარიტ სარწმუნოებაში მოჰყავდა კიდევ. ღვთის მემკვიდრე მოგვითხრობს: „და რათა მოკლეთ ვთქუა, რაოდენი ეკლესიანი, წარმართთაგან


შეგინებული, განწმიდნა სახლად ღმრთისად, რაოდენნი ნათესავნი წარმართნი შევილად წმიდისა ემბაზისად მოიყვანა და შეაწყნარა ქრისტესა და დადვა მისთვის უმეტესი მოსწრაფება, რათამცა ყოველი სოფელი მოსტაცა ეშმაკსა და შეასაკუთრა ღმერთსა, რომლითა მოიღო მაღლი მოციქულობისა“. განა ეკუმენისტები ასე იქცევიან?

ისე, დავით მეფე ანისში ერთხელ მართლა შევიდა მიზგითში (მეჩეთში), რომელიც ადრე ეკლესია იყო, მუსულმანების მიერ მიტაცებული და მიზგითად ქცეული. შევიდა, რათა გამოეხსნა იგი ურჯულოთა ტყვეობიდან. მემკვიდრე ასე აღწერს ამ ამბავს: „და დაიპყრა არფასლანიანი და ამოსწვიდნა ივინი, რომელთა დიდი საყდარი ანისისა მისვითად მოეკაზმათ და ქრისტიანეთა სისხლითა იგი საყდარი და ქალაქი მოერწყით. იმუქაფა ღმრთის მოყვარებან დავით აღმაშენებელმა, მოლათა და დარიშმანთა სისხლითა ახლავემან მორწყო, საყდარი იგი ახლად მონათლა, რომელიც აღეშენა ბერძენთა ასულს დედოფალ კატრონიკეს და იქვე ესაფლაჟა . . . მოვიდეს მეფე და კათალიკოზი, ეპისკოპოსნი და ერთობილნი ლაშქარნი დედოფლის საფლავსა, ახლად წესი აუგეს და თვითონ მეფემან სამჯერ საფლავთა ჩასძახა: „ვიზაროდენ შენ, დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა ხელთაგან“.

განა ეკუმენისტი მეფე ასე მოიქცეოდა? ქართველებო, მართლმადიდებლებო, გვახსოვდეს დავითის მემკვიდრის სიტყვები: „წარსწყმედს უფალი ყოველთა, რომელნი იტყვიან სიცრუევსა“. თუკი ერი შეიწყნარებს სიცრუესა და წმიდა მეფის ცილისწამებას, მაშინ რისხვა ერსაც დაატყდება. წმ. მეფე დავით აღმაშენებელმა თავისი ცხოვრებითა და თავისი მოღვაწეობით მოგვცა მაგალითი იმისა, რომ ყოველმა ქართველმა უნდა დადოს ალთქმა ღვთის წინაშე, ალთქმა, რომელიც რუის-ურბნისის კრებამ დაგვიტოვა, ვითარცა უძვირფასესი მემკვიდრეობა, ვითარცა ყოველი ქართველის უპირველესი პიროვნული მიზანი და, იმავდროულად, ვითარცა საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის ქვაკუთხედი: „არ გეცრუვებით შენ, ჩვენო სიწმიდით მშობელო საყოველთაო ეკლესიაო, არ გაგცემთ შენ, ჩვენო სიქადულო – მართლმადიდებლობაჲ“.


მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი





მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის
მიმართვა

**„წარსწყმედს უფალი ყოველთა რომელნი იტყვიან სიცრუევსა“
(წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახელის შეურაცხყოფის გამო)**



**იხილეთ შამოწირულობებით
პრეტელდება უფასოდ
(სხვასაც წააკითხეთ)**